

ქალაქ ქუთაისში, რომევიჩის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე, მოქალაქე ვარდიკო კარკალაიასათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. ვარდიკო კარკალაიას წარმომადგენლის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N140144694) ზაზა ქათამაძის პ/ნ N60001002664 განცხადებების (2014 წ. 12.08. Nქ-6293;29.08.Nქ-6858), თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, რომევიჩის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ვარდიკო კარკალაიას / პ/ნ N60001043448 /.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი. გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, რომევიჩის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე საერთო ფართობი 43,25 კვ.მ., მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 21,80 კვ.მ. დამხმარე ფართობი 21,45 კვ.მ. ვარდიკო კარკალაიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნოდარ მიქიაშვილი